171
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 252
ნოემბრის 24, კვირა 1902 წ.
1877

# ივერია

№ 252
ნოემბრის 24, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ ** თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

### ხელი ს-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში**:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
**ბათუმში**: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
**ბაქოში**:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**საგურამოში**. პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში**:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა“
**ღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად**

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ჟირარდის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოების

## საწყობში

ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.

**მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლანდიისა, აბრეშუმისა და შალის საბნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჟები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.**

Crèpe de santè და ნაძვისა

**კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.**

პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(17—3) **დონერ—ლეიფცი.**

---

## ს ა წ ყ ო ბ ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ.

## დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66.
(30—6.—23)

---

### ქ რ ო მ ო-ლ ი ტ ო გ რ ა ფ ი ა

## კონგრეფო—სარელიეფო

**დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა**

ვაცნობებ ბ-ნთ მუშტართ, რომ მე შევიძინე უკანასკნელი სისტემის კონგრეფო-სარელიეფო მანქანა ელექტრონის მოწყობილობით. აგრეთვე მოწვეული მყავს რუსეთიდგან საუკეთესო მხატვრები და გრავიორები და ყოველი ღონის-ძიება ვიხმარე, რომ ყოველი სალიტოგრაფიო საქმე შევასრულო საუკეთესოდ. სალიტოგრაფიო საქმეს გარდა, ვასრულებ **კონგრეფო-სარელიეფო** სამუშაოს, რომელიც ტფილისისათვის სრულიად ახალი საქმეა, ესე იგი ჯერ არავის არა აქვს. რომ ყველა ამათ ვასრულებ საუკეთესოდ, ამაში ვთხოვ პატივცემულ მუშტართ დარწმუნდნენ ჩემი ნამუშავრის შედარებით რუსეთის საუკეთესო ფირმების ნამუშევართან. ფირმა არსებობს 1876 წლიდგან. ტელეფონი 24.

(3—6.—2) პატივის-ცემით გიორგი ივანეს ძე დემუროვი.

---

**კბილის ექიმი**

**ივანე პავლეს ძე**

### ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის. კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

---

### ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

---

## საჭიროა

პასუხის-მგებელი **პრიკაშჩიკები** თავიანთ მოსამსახურე ხელ-ქვეითებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიასა და მატარებლების დუქნებში. გირაოდ უნდა იქმნას შემოტანილი 400-დან 600—800 მანეთამდე, ჯამაგირებია გადაწყვეტილი 960 მანეთიდგან 1320 და 1500 მანეთამდე წელიწადში.

საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, მიხეილის პროსპექტი, სახლი ალელოვისა, № 162. (4—1)

№ 17 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს, 1902 წ.

**დაკლებულის ფასებით**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ორი პიესა

I

### უბედურ ვარსკვლავზე

(Passionaria)

ისპანიური თანამედ. დრამა 3 მოქ. კანო-ი-მაზაზისა.

II

### ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქ. დაბიშისა, გადმოკეთებული ან. თუმანიშვილი-წერეთლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ. დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, ამფითეატრი 60 კ. გალერეია 35 კ.-დან 20 კ.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი ეფ. მესხის მონაწილეობით), „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ე ვ რ ო პ ი ე ლ ი ქ ა ლ ი

### ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

### გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

---

ე ქ ი მ ი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი**. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი**. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ბძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი**. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ა. ნ. შაპკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი**. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი**. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი**.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—ოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

---

**ტფილისი, 24 ნოემბერი.**

ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია შეუმსუბუქოს შესამჩნევად გლეხობას მისი მძიმე უღელი, არის კოლონიზაცია, გადასახლება თავისუფალ სახელმწიფო ადგილზე. თუ ჩვენი საგუბერნიო კომიტეტები მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას და აღმოუჩენენ მიწის მხრივ შევიწროებულ გლეხობას რაიმე საშუალებას, იგინი დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს ქვეყანას. მიწის სივიწროე არსად არ არი ისე მწვავე, როგორ ჩვენში. მეორე მხრივ კოლონიზაცია ისეთი საშუალებაა, ურომლისოდაც არ შეუძლია ცხოვრება ახლა არცერთ კულტურულ ქვეყანას. ჩვენ-კი ამ მხრივ შეკრული გვაქვს გზა. არ შეგვიძლია-კი დავეთანხმოთ იმათ, ვინც ამტკიცებენ, ვითომც ერთად-ერთი დანიშნულება სამიწად-მოქმედო კომიტეტებისა საკოლონიზაციო საქმის გადაწყვეტა იყოს. არიან კიდევ სხვა ფრიად საჭირო საქმეები, მაგალითად, გლეხებსა და მიწათ-მფლობელთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება, სამიწადმოქმედო კრედიტი, განსაკუთრებით, სამელიორაციო, გზების გაყვანა, შუამდგომლობა ერობის შემოღებისათვის,—რადგან მხოლოდ ერობას შეუძლია განახორციელოს ყოველივე სასარგებლო სამიწადმომქმედო ცვლილება,—გადასახადთა საქმე და სხ.

თუმცა ყველა ხსენებული საშუალება ფრიად სასარგებლო იქნება, როგორც ქონების, აგრეთვე კულტურის მხრივ, და ცოტათი მაინც წელში გამართავს, სულს მოათქმევინებს, მოაღონიერებს დაუძლურებულ გლეხკაცობას; თუმცა დღეს-დღეობით ზემოდ-ჩამოთვლილი საშუალებანი უფრო საჩქაროა და აუცილებელი, მაგრამ, როცა იქნება, რაც უნდა დაბრკოლება გადაელობოს წინ, ჩვენშიაც შემოვა კაპიტალისტური მიწათ-მოქმედება, რომლის მნიშვნელობაც კიდევ უფრო დიდი იქნება.

დამტკიცებლია, რომ, როდესაც გლეხი ქირნახულს იღებს თავის შრომის ფასად, ე. ი. როდესაც წარმოება ნატურალისტურია, მაშინ ეს ჯილდოც ნაკლებია. როდესაც შრომის ქირა ფულად იქცევა, მაშინ-კი ჯილდოც მეტია. მაშასადამე, გლეხებისთვისაც, როგორც მესაკუთრეებისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნება გაუმჯობესებული წესი სამიწათ-მოქმედო წარმოებისა, რომელიც ფულით გაუძლევება ყოველგვარ ანგარიშს. რატომ? მატომ, რომ მწარმოებელი ძალა მაშინ ბევრად მეტი იქნება, ვიდრე ახლაა.

ეს კია, რომ მაშინა იჭერს მშრომელის ადგილს, სდევნის მშრომელს წარმოებიდან. განვითარებული გუთანი მეტს მოხნავს ვიდრე უბრალო. ამიტომ მაშინა ხელს აალებინებს ბევრ გლეხებს ხვნასა და თესვაზე. რა ეშველება ამ ზედ-მეტ ნაწილს გლეხებისას, რომელიც საჭირო აღარ იქნება სამაშინო წარმოებისათვის ხორბლეულობის მოყვანის საქმეში? ნაწილი ამ მუშებისა იშოვის საქმეს საქარხნო წარმოებაში, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრისა და სიუხვის წყალობით, ბრწყინვალე მომავალი მოელის ჩვენში; მეორე ნაწილი იძულებული იქნება მოჰკიდოს ხელი შინაურ ხელ-საქმეს, რომლის განვითარებასაც უნდა მიაქციონ აგრედვე განსაკუთრებული ყურადღება ხსენებულმა კომიტეტებმა. მესამე ნაწილი-კი გადიქცევა ქირის მუშებად იმ უზარ-მაზარ წარმოებაში, რომელიც შეადგენს ჩვენს უმთავრეს სიმდიდრეს, ჩვენს ამპარტავნებას, ე. ი. ღვინის წარმოებაში.

ვენახი არის ის სიმაგრე, რომელსაც შეუძლია მკვიდრად გაგვამაგრებინოს ფეხი მიწაზე, შეგვაყვაროს და შეგვარჩინოს სამშობლო. ვენახი არა თუ არ სდევნის მშრომელს მიწიდან, არამედ იზიდავს. ერთ დღიურ ვენახს ხუთჯერ-ათჯერ მეტი მუშა-ხელი სჭირდება, მაგალითად, ვიდრე ერთ დღიურ სავანე მიწას. ჯილდოსაც, ამიტომ, მევენახეობა ერთი ხუთად და ერთი ათად მეტს იძლევა.

ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, მევენახეობა ორ-გვარი იქნება: ერთი იქმნება დამყარებული კაპიტალისტურ ნიადაგზე, მეორე წვრილ კერძო საკუთრებაზე.

კაპიტალისტურ მევენახეობის ნიშნებს ახლაც ვხედავთ ჩვენში. მისი ზრდა და გაფართოება აუცილებელია და საჭიროც. განვითარებული ტეხნიკის შემოღება მხოლოდ მსხვილ წარმოებას შეუძლია. მსხვილი წარმოება-კი მევენახეობაში, როგორც წარმოების ყოველ სხვა დარგში, იქნება საფუძველი სრულიად ახალის ეკონომიურის წყობილებისა. ამ საფუძველზე მოხდება ჩვენშიაც ეკონომიური დიფფერენცია.

მსხვილი მევენახეობა მიიზიდავს გლეხობის იმ ზედ-მეტ ნაწილს, რომელსაც ხელს ჰკრავს განვითარებული წარმოება ხორბლეულობისა. ამ გვარად გლეხი ისევ მიწას შერჩება, მხოლოდ ადგილს გამოიცვლის.

მსხვილ მევენახეობასთან ერთად წვრილ-

მევენახეობასაც მოელის ჩვენში ბრწყინვალე მომავალი. სამი დღიური ვენახი გლეხს არჩენს. წვრილი მევენახე კიდევ უკეთეს მდგომარეობაში იქმნება, ვიდრე ქირით მომუშავე. ამიტომ ჩვენის გლეხობის უმეტესი ნაწილი წვრილ მევენახეებად გარდაიქცევა და ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ერის ცხოვრებაში.

თუ სამი დღიური მიწა, ვენახად გადაქცეული, საკმაოა ერთი ოჯახი შეინახოს, რამდენი ასეთი დღიურია ჩვენსა ქვეყანაში და, მაშასადამე, რამდენ სულს შეუძლია ირჩინოს თავი მევენახეობით! თვითოეულ დღიურზე ვენახის გაშენება ისე უნდა ჩავთვალოთ, ვითომც ხუთი ათი დღიური სახნავი მომატებოდეს ჩვენს ქვეყანას. ვენახის გაშენებას ის მნიშვნელობა აქვს ჩვენში, რაც კოლონიზაციას, გადასახლების საქმეს, რუსეთში. ინტენსივური წარმოება პატარა ადგილზე უდრის ხალხის გამრავლების მხრივ ექსტენსივურ წარმოებას დიდ ადგილზე, კულტურის მხრივ ხომ ბევრად აღემატება.

ამ გვარად წვრილ მევენახეხეობას მოჰყვება ხალხის გამრავლება, მჭიდრო მოსახლოება. მჭიდრო მოსახლობა-კი უმთავრესი მიზეზთაგანია ხალხის კულტურისა და განათლებისა.

ამ გვარად მევენახეობას შეუძლიან კვლავ აღადგინოს ჩვენი დაცემული ეკონომიური მდგომარეობა. რაც ხმალმა და თოფმა ქართველის სისხლი დაღვარა, ეს სისხლი კვლავ გაჩნდება მორცხვის ვაზის მშვენიერ წვენის მეოხებით. მართალია, დიდი ქვეყანა არ გვიჭირავს ხელთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ პატარა ქვეყანას უხვადა აქვს მინიჭებული ყოველგვარი მადლი ბუნებისა. ჩვენი ისტორიული უბედურებაც ის იყო, რომ ასეთ მშვენიერ ქვეყანაში მოვექეცით, და ბედიც ეს არის სწორედ. თუ სამშობლომ აქამდის მრავალგვარი ტანჯვა-ვაება გამოგვაცდევინა მტერთან დაუსრულებელ ბრძოლით, აწ მასვე შეუძლიან თავის ძლიერებით კვლავ ჩაგვბეროს სიცოცხლის სული, კვლავ აღგვადგინოს.

# ტფილისი

◆ ჩერნომორიის გუბერნიიდგან ჩამოვიდა ტყეების მცველ-გამაშენებელი მიხ. იაკ. ნიკიტინი და ჩამოიტანა მის მიერ ნაპოვნი ორი ჯვარი რკინისა. ორივეზედ აწერია: „წი გი“ (წმიდა გიორგი). ერთის ნაწერი ძველი ხუცურია და მეორის ნაწერში ასო „გ“ მხედრულს ჰგავს. ჯვრები უპოვნია ხოჯუფსის მდინარის ხეობაში, ადგილს, რომელსაც ჰქვიან ბერჩილ, ჩერქესეთისა და აფხაზეთის შორის. იმავე მდინარის ხეობაში, ზღვის კიდის ახლოს, არის ძველის ტაძრის ნანგრევები, მხოლოდ ბ-ნ ნიკიტინს წარწერები და ან ძველი ნივთები არ უნახავს.

◆ პარასკევს, 22 ნოემბერს სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის წევრნი ბ-ნნი ნ. ცხვედაძე, ივ. უთნელიშვილი და ექ. გაბაშვილი იყვნენ სკოლის მამულ სკრაში. კომიტეტის წევრთ დაათვალიერეს მამული, გაშინჯეს ის ადგილი, საცა ამერიკის ვაზის სანერგე უნდა გაიმართოს. დაათვალიერეს აგრეთვე საბოსტნე ადგილიცა და იმავე დღეს დაბრუნდნენ ტფილისში.

კომიტეტს განუზრახავს ამერიკის ვაზის სანერგეს გამართვა უფრო იმიტომ, რომ სკრის მიდამოებში ფილოქსერა აღმოჩნდა. სკრაშივე აქვს მამული ფრიდონოვსა და ავსარქისოვს, რომელთაც ხეხილის ბაღები, ვენახები და სანერგეები ხეხილისა აქვთ. რაკი ფილოქსერა გაჩნდა სკრაში, ფრიდონოვსა და ავსარქისოვს სულ გაუჩეხიათ ვაზები თავიანთ ვენახებში.

◆ ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდა მიწის მზომელთა დასი, რომელიც ბ-ნ მარკოვის ხელმძღვანელობით ალექსანდროპოლის მაზრაში, მამულების საქმეს აწესრიგებდა, როგორც მარკოვის მოხსენებიდგან სჩანს, დასს დაუპლანავს 23 ათასამდე დესეტინა მიწა.

◆ როგორც კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრების ოქმიდგანა სჩანს, 1905 წელს, ტფილისში დანიშნულია მკურნალთა მესამე საერთო კრება.

◆ ტეხნიკოსთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას განუზრახავს, მიჰმართოს მთავრობას და სთხოვოს, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს გაჰმართოს წიგნთ-საცავი, სადაც მსურველთ შეეძლოთ მოიპოვონ სატეხნიკო მეცნიერების შესახები თხზულებანი.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას დაუვალებია კავკასიის რკინის გზის ექიმის ბ-ნ ავთანდილოვისათვის, შეიმუშაოს, რა მდგომარეობაშია სანიტარული და საექიმო მხრივ კავკასიის რკინის გზეი; რა მდგომარეობაშია აგრედვე ამ გზების სახელოსნოები და სადგურები.

◆ ამ ჟამად ტფილისის ტეხნიკოსები მხნედ მუშაობენ იმის გამოსაკვლევად, თუ მომავალ წელს, ქალაქის გამგეობას, ქალაქის მოწყობისა და ქუჩების შეკეთებისათვის, რამდენი დასჭირდება.

◆ ქალაქის გამგეობამ პურის საცხობის „ზარიას“ პატრონს, ბ-ნ ქანდაროვს ოფიციალურად მიჰმართა, წარმოგვიდგინეთ დაწვრილებითი ცნობანი, რა პირობით შეგიძლიანთ გარდასცეთ თქვენი პურის საცხობი ქალაქსაო.

◆ აგერ რამდენიმე წელიწადია ქალაქის გამგეობა ჰფიქრობს საკუთარის სტამბის დაარსებას. ქალაქის გამგეობას ამ ჟამად ამ საქმისათვის მუყაითად მოუკიდნია ხელი. გამგეობას უკვე შეუდგენია პროექტი სტამბის გამართვისა და ამ ცოტას ხანში განიხილავს ტფილისში ცნობილ მესტამბეთა თანადასწრებით.

◆ 24 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებაზედ დანიშნულია ქალაქის საფინანსო და სასწავლებელთა აღმასრულებელ კომისიების წევრთა ამორჩევა.

◆ 16 დეკემბერს უნდა მოხდეს ქალაქის თავის ამორჩევა. ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ ასახელებენ კ. მ. ალიხანოვს და ი. მ. არღუთინსკის.

◆ თელავის ქალაქის მმართველობას განუზრახავს დააარსოს საავადმყოფო, სადაც თელავის ღარიბ მცხოვრებთ შეეძლოთ გაჭირების დროს საექიმო დახმარება მიიღონ; თელავის გამგეობამ წარუდგინა-რა ამ საგანზედ დადგენილება ტფილისის გუბერნატორს, გუბერნატორმა მოიწონა და დაამტკიცებინა.

◆ მოსკოვის საეტნოგრაფო საზოგადოებას, ჩვენი თანამემამულე ახალგაზრდა მემუსიკე, რომელმაც წარსულ წელს დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია, ბ-ნი არაყიშვილი ამოურჩევია წევრად და „ქართულ სიმღერების მიმოხილვის“ მოხსენებისთვის მიუსაჯნია ვერცხლის მენდალი.

◆ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას დაუდგენია, აგრონომი ნიკ. ნიკ. სპეშნევი გაგზავნოს ალჟირში თაგვების საწამლავ სოკოს თვისებათა ადგილობრივ შესასწავლად.

◆ სამშაბათს, 26 ნოემბერს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქნება წარსულ კრებაზედ განუხილველად დარჩენილი საქმეები.

◆ მიწის მზომელთა დასი, რომელიც მუშაობდა ბორჩალოს მაზრაში თავ. მიხეილ ვახტანგის ძის მაჩაბლის ხელმძღვანელობით, უკვე დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა საზამთრო კამერალურ საქმეების აღსრულებას; მიწის მზომელთა დასს ორის თვის განმავლობაში აღუნიშნავს პლანზედ 28,000-მდე დესეტინა მიწა.

◆ ამ ცოტა ხანში მოხდება მოქალაქეთა რწმუნებულების საზოგადო კრება, რომელნიც მოწვეულნი არიან საგანგებოთ მისთვის, რომ მოქალაქეთა გამგეობას ნება მიეცეს, სხვა და სხვა საჭიროებათათვის მოიხმაროს ის ფული, რომელიც ამ საზოგადოებას აქვს შენახული სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

◆ ქალაქის გამგეობა შეეკითხა წყალში დამხრჩვალთა დამხმარებელ საზოგადოებას, შეგვატყობინეთ, რა პირობით ინახავს ავლაბრის ხიდთან, რიყეზედ იაკობ ეგოროვი თავის მაშველებელ ნავსაო და აქვს ბ-ნ ეგოროვს ნება, დაჭირების დროს უარი უთხრას ვისმე დახმარებაშიო თუ არა, ან საზოგადოებას როდის რა დაუხარჯავს და ან რა დახმარება აღმოუჩენია ეგოროვისათვისაო.

◆ ქალაქის გამგეობაში აღძრულია კითხვა ამოირჩიონ კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს სომხის ბაზარის და სიონის ქუჩების გაგანიერება; ამ ქუჩებზედ, თუ მკითხველებსაც მოეხსენებათ, გაყვანილ უნდა იქმნას უსახელო საზოგადოებისაგან ელექტრონის კონკა; უსახელო საზოგადოებას, ქუჩების გაგანიერებისათვის, ქალაქის განკარგულებაში გარდაუცია 40 ათასი თუმანი.

◆ 20 ნოემბერს ერთს პატარა შენობას, რომელიც ბაღოსნობის სკოლას ეკუთვნის, ცეცხლი მოეკიდა და მაშინათვე გააქრეს; სახლი დაფასებული იყო 1500 მან. და დაზღვეული 1000 მან., ზარალი 143 მანეთს არ აღემატება.

◆ ტფილისის უსახელო საზოგადოებამ, ქალაქის გამგეობასთან ხელშეკრულობის ძალით, ქუჩების მოსაკირწყლავად უნდა გადიხადოს 30 ათასი თუმანი; უსახელო საზოგადოების გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას: მიიღეთ ნაწილ-ნაწილად ზემო აღნიშნულ ფულიდგან ხუთ-ხუთი ათასი თუმანიო და შეგვატყობინეთ, როდის აპირებს ქალაქი ქუჩების მოკირწყვლის შედგომას და რა დროსთვის სურს რომ მიიღოს ამ ფულის ნაწილიო.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა კავკასიაში რწმუნებულის კანცელარიასთან შესდგა მემამულეთა საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს სხვა-და-სხვა სამეურნეო დაჭირებაში მემამულეთ შემწეობა აღმოუჩინოს; ამ საზოგადოებას ამ ახლო მომავალში ექნება კრება, რომელიც აღნიშნავს იმ შემთხვევებს, თუ როდის და რა კითხვების განხორციელებაში უნდა იმოქმედოს ხსენებულმა საზოგადოებამ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან ერთად; განხილულ იქნება აგრეთვე ის კითხვა, რა საშუალებით უნდა შეეძლოს ახლად დაარსებულ საზოგადოებას ზოგიერთა კითხვების განხორციელება და უფრო რა საშუალება იქნება საჭირო, რომ მან მიმართოს ხოლმე ერთის მხრით აღძრულის კითხვების განხორციელებას, მეორეს მხრით მემამულების გაჭირვების დასაკმაყოფილებლად.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალების მეთაურობით, ზესტაფონში არსდება ოთხ-კლასიანი პროგიმნაზია.

◆ ამ კვირია მოხდება კრება იმ ინჟენერტეხნიკოსთა კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დეევალა საჰიდრავლიკო სადგურის ღირებულობა გაითვალისწინოს, რა მდგომარეობას მიიღებს ტფილისი, როცა საჰიდრავლიკო სადგური იმოქმედებს, გამოიანგარიშოს, რა ეღირება მდინარე მტკარის ნაპირების გამაგრება სადგურის მოწყობასთან ერთად და რავდენათ სასარგებლოა და შესაძლები გამოიყენოს სადგურის ძალა ქალაქის ქუჩების გასანათებლათ და ტფილისის რკინის გზის ვაგონების ასამოძრავებლად.

◆ ამ ჟამად ტფილისის ბოქაულები, ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანებით ხელოსნებზედ დარჩენილს გარდასახადს კრეფავენ; მათ მიერ შეკრებილი ფული წარედგინება ტფილისის ხელოსანთა მმართველო-ბას.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა ერთი თვის წინათ ჰერცოგოვინასა და ბოსნიიდგან გამოიწერა სხვა-და-სხვა საუცხოვოდ და დიდის გემოვნებით დამზადებული ნივთები, რომლებიც კომიტეტს უნდა დეერიგებინა გამოჩენილ მრეწველთათვის ნიმუშად. კომიტეტმა ორ თავის წევრს დაავალა შეედგინათ სია იმ მრეწველებისა, რომლებსაც იგინი ღირსად იცნობდნენ; კომიტეტის წევრებს ამ ჟამად უკვე შეუდგენიათ ამ პირთა სია და ამ დღეებში წარუდგენენ კომიტეტს; იმედი აქვთ მრეწველებს გამოწერილი ნიმუშები მალე დაურიგდებათ.

◆ ქალაქის გამგეობას დაში თავშესაფართა მეთვალყურე კომისიისათვის დაუვალებია, აცნობოს თავშესაფარების ზედამხედველებს, რომ ყოველ შემთხვევაში თავშესაფარებში მცხოვრებთ აღმოუჩინონ პატრონობა და, თუ საჭიროა, ქომაგობა გაუწიონ; აგრეთვე ზედამხედველებმა იცოდნენ, რომ იმ დრომდე, ვიდრე თავშესაფარში იმყოფება რომელიმე, არც კერძო კაცს და არც პოლიციას ნება არ აქვს გამოიყვანონ თავშესაფარიდგანაო, რადგანაც თავშესაფარში ყოფნის დროს იმყოფება ქალაქის გამგეობის მზრუნველობასა და მფარველობასა ქვეშაო.

# ჩვენებური ამბები

**ახალ-სენაკი.** აქ ძალიან გახშირდა ქურდობა. 16 ნოემბერს აქაური წმინდა გიორგის ეკკლესია გასტეხეს და გაიტანეს ზოგიერთი საეკკლესიო ნივთები. 5 გირვანქაზედ მეტი წმინდა სანთელი, მათ შორის, ყულაბი გაეტეხათ, რომელშიაც, როგორც ამბობენ, თუმანზე მეტი ფული ყოფილა. ამ სამის თვის განმავლობაში ეს მესამედაა, რაც ეს ეკკლესია გაქურდეს და არ დასტოვეს, თუ რამ ვერცხლეულობა იყო შიგ. მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ერთხელაც ვერ მიაგნეს დამნაშავეთ.

ჯარში გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა კენჭის ყრა უკვე გათავდა. წელს მთელის მაზრიდან 420 კაცი გაიწვიეს.

ახალ-სენაკელი.

—

**თეკლათი** (სენაკის მაზრა). 17 ამ თვეს, თეკლათის საზოგადოების სგლეხო სამმართველოში კრება ჰქონდათ მთელის საზოგადოების მცხოვრებთ. კრებას უნდა ახალი მამასახლისი აერჩია და აარჩია კიდეც ქართულის წერა-კითხვის მცოდნე გიორგი ფილია.

წელს მთელს საზოგადოებაში გვარიანი მოსავალია ყოველ გვარი ჭირნახულისა. ღვინის მოსავალმაც შარშანდელს გადააჭარბა, მაგრამ ღირსებით მდარეა...

ტელეფონი.

—

**სამეგრელო.** ეს-ეს არის, გაოავდა მთელს სამეგრელოში წრევანდელი მოსავლის აკრეფა. სიმინდის მოსავალი წელს გაცილებით მეტია შარშანდელზე. ყველას დიდი იმედი ჰქონდა წრევანდელის ჭირნახულის სიუხვისა..

ადესა, „იზაბელაც“ წელს მეტი მოვიდა, მაგრამ ძლიერ მდარე ხარისხის, ვიდრე ვასულს წლებში.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სამეგრელოს ზოგიერთს სოფლებში თაფლის მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს. სამეგრელოში არის ისეთი ადგილები, რომელთა ცხოვრების ერთად-ერთ წყაროს მარტო ფუტკარის მოვლა-მოშენება შეადგენს. მათდა საუბედუროდ, ეს მათი დიდი იმედი და ნუგეში ლამის არის ხელიდგან გამოეცალოს. რა არის ამის მიზეზი, არავინ იცის. სასურველია, ვინმე მცოდნე პირი გამოირკვევდეს თუ რა მიზეზია, რომ ასე წყდება ფუტკარი...

დადგა შემოდგომის ბნელი ღამეები თუ არა, ჩვენმა „ჯგირი კოჩებმა“—ქურდებმა კვლავ აიდგეს ფეხი. იპარავენ მინდორში საბალახოთ გაშვებულს პირუტყვსა. ერთის სიტყვით, დიდს ზარალს აძლევენ ზოგიერთს სოფლებს ეს უნამუსო ვაჟბატონები.

ისე განვლო მთელმა შემოდგომამ, რომ ორ-სამი დღე ზედიზედ მზიანი თვალითაც არ გვინახავს. მუდამ დღე ცას პირი ჩამოსტირის. სოფლის გზები ისეა ატალახებული, რომ სოფლიდან სოფლამდე მისვლა ძნელია.

ტრიფონ კალანდარაშვილი.

—

**სვირი.** სვირის ორ კლასიანს სასწავლებელში თუმცა სამი მასწავლებელი ასწავლის, მაგრამ ყველას მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებენ; ხალხი მრავლდება, სოფელი იზრდება, საჭიროება მატულობს და სასწავლებელს-კი არ უმატებენ. ყველა თხოულობს მისი ბავშვი მიღებულ იქმნას სასწავლებელში, მაგრამ ისას-კი არ კითხულობს, შეიძლება ეს მოხერხდეს თუ არა... წელსაც, როგორც სხვის, სასწავლებლის კარებს ბევრი მოადგა. სასწავლებლის მთავრობამ მიიღო ყველა მთხოვნელები, უშოვა ოთახი, მოიწვია მეოთხე მასწავლებელი და ამით მისცა ყველას შეძლება სასწავლებელში სწავლისა.

17 ნოემბერს მეხუთედ (დაარსებიდგან) შესდგა სვირის სამეურნეო საზოგადოების კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, უნდა განხი-

---

# ფელეტონი

## სოფელი და სოფლელნი.

წერილი მეშვიდე *)

**თავად-აზნაურობის ვითარება და გავლენა** **).

როდესაც სოფლის ცხოვრება და სოფლელთა ეკონომიური მდგომარეობა გვსურს გამოვიკვლიოთ, არ შეგვიძლიან თავად-აზნაურობის წოდებას გვერდი აუაროთ და არ გამოვარკვიოთ ამ წოდების ვითარება და გავლენა.

ამის შესახებ არავითარი დასაბუთებული აზრი არა სუფევს-რა; ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას თითქმის არა გამოუთქვამს-რა, არა გამოურკვევია-რა; ამ საგანზედ სჯა და ბაასი თითქო სათაკილოდ მიაჩნია; საზოგადოებაში-კი ხშირად გაისმის განსხვავებული და ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი; ბაასი და საუბარი მეტად გამწვავებულია; დალაგებულს და დასაბუთებულს აზრს კაცი ვერ გაიგონებს: მოპირდაპირენი ერთმანეთს უცქერიან მტრულად და ხშირად ერთმანეთს თითქმის სამშობლოს მოღალატეობასაც-კი სწამობენ.

როდესაც დააკვირდებით თავად-აზნაურობის მნიშვნელობას, ცხოვრებას, მისწრაფებას, ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრი გებადებათ და ჰგრძნობთ, რომ თქვენი არსება, ბუნება ორად გაიყო ისე, როგორც ჩვენი საზოგადოება ორ ბანაკად გაიყოფება ხოლმე, როდესაც ამ საგანს შეეხება ვინმე.

ამ წერილში მსურს გამოვსთქვა ჩემი აზრი ამ წოდების მნიშვნელობის შესახებ მხოლოდ ჩვენში და ვიხელმძღვანელო წარსულის და აწმყო ცხოვრების ფაქტებით: სრულიად უადგილოდ მიმაჩნია თეორიტიული ბაასი იმის შესახებ, თუ რა არის პრივილეგია, ანუ განსაკუთრებული უფლება; შესაწყნარებელია თუ არა ჩვენს დროში ამ პრივილეგიის დაცვა, საზოგადოების გარჩევა ჩამომავლობით, სხვა-და-სხვა უფლებით; მით უმეტეს, რომ ფაქტიურად აღარავითარი განსაკუთრებული უფლება და პრივილეგია აღარა სუფევს, საზოგადოების დაყოფა ჩამომავლობით აღარავისა სწამს და არც არავინ უწევს მოსარჩლეობას. ერთად-ერთი პრივილეგია, რომელიც აქვს მინიჭებული თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, ის უფლებაა, რომ თავად-აზნაურობას ნება აქვს იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე თვისისა და ქვეყნის საჭიროებათათვის, მაგრამ რომელი მამულისშვილი იტყვის, ჩამოვართვათ ეგ უფლება თავად-აზნაურობას, ეგ მავნებელია ქვეყნის საზოგადო ინტერესებისათვისაო.

ვგონებ, თეორეტიული სჯა და ბაასი შეუძლიანთ და შეჰფერით მხოლოდ იმ მეცნიერთ და პუბლიცისტებს, რომელნიც სულ სხვა განათლებულ ქვეყნების შვილნი არიან. რა ჩვენი საქმეა იმათი წაბაძვა? ჩვენს და იმათ შორის დიდი ზღვარი სძევს; ანალოგია შეუძლებელია, და ამიტომ მიბაძვა ბავშვიბა და სასაცილო იქნება.

რაც-კი რამ ერთ ქვეყანაში შესაწყნარებელია, ლამაზი ანუ კარგი, განა სხვა ქვეყნებშიაც უნდა უსათუოდ მიღებული იყოს, მშვენივრად და სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს? სხვა-და-სხვა ხალხის ცხოვრება, სხვა-და-სხვა ერის ვითარება ძალიან განირჩევა განათლებით, ეკონომიურის და სოციალურის მდგომარეობით და ბევრი რამ სხვით.

ზანგები, შავ-კანიანნი, ხუჭუჭ-თმიანნი და თეთრ-კბილა ვაჟკაცნი, ჩვენში თითით საჩვენებელნი არიან და მახინჯად მიგვაჩნია, მაგრამ თავიანთ ქვეყანაში-კი ბევრს მათგანს არა ერთის ზანგის ქალის გული აუძგერებია სიყვარულით. ჩინელის კაცის ნაწნავი ჩვენში ყველას ღიმილს მოჰგვრის და უშნოდ ეჩვენება, მაგრამ თავის ქვეყანაში-კი თავის ნაწნავით ეწონება ჩინურ ქალებს. ლოკოკინასი, ბაყაყისა და კუს ხორცი ინგლისელს სიამოვნების ნერწყვს მოჰგვრის; აგრეთვე, როგორც მოგვითხრობენ, მოხრაკული კალია, შემწვარი მცურავი, ხვლიკი და თაგვი ჩინელთათვის საუკეთესო საუზმეა, და ქართველ კაცს კი, ყოველ ამ სანოვაგეს გახსენებით, გულის ზიდილი მოუვა.

ამ რიგადვე შესადარებელი არ არის ჩვენი და განათლებულ ქვეყნების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. თვით იმ ქვეყნებშიაც-კი არა სუფევს ერთგვარობა ცხოვრებისა, წესწყობილობისა, კანონისა, პარლამენტებისა, წოდებათა უფლებისა და სხვათა და სხვათა. ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი ისტორია აქვს, საკუთარი ტრადიცია, ჩვეულება, ხასიათი და ეკონომიური ვითარება. ყოველი ერი მტკიცედ იცავს თავის საკუთარ კულტურას, წესწყობილებას, ჩვეულებას, ხელოვნებას და ყველა იმას, რითაც ამ ერის ვითარება განსხვავდება სხვათაგან.

თუთიყუშური წაბაძვა ყველგან დასაძრახისია და მავნებლად ცნობილი. ჩვენც მხოლოდ იმას უნდა დავეწაფოთ, რაც ჩვენის ქვეყნის და ხალხისათვის საბედნიეროა, სასარგებლო და რაც დღეს შეგვიძლიან შევითვისოთ.

მარტო სურვილით და მაღალ ფრაზებით ვერას გავაწყობთ! უნდა გვახსოვდეს, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“!..

ვგონებ, ყველა დარწმუნდა მეექვსე წერილში („ივერია“ №№ 94, 96) მოყვანილ ფაქტებით, რომ ჩვენ ხალხს მეტის-მეტად უყვარს ის კუთხე, სოფელი, მხარე, სადაც დაბადებულა. ამ თავის გამოგონილს სათაყვანო სამშობლოს სუყველაფერს ანაცვალებს—თავის ოჯახსა, კეთილ-დღეობას, ნივთიერ ძალ-ღონესაცა, თვით საერო ნამდვილ სამშობლოსაც, რომლისადმი ძალიან მცირე სიყვარული აქვს.

ამ საუბედურო გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში და დღესაც დიდი გავლენა აქვს და დიდად უშლის ჩვენს ხალხს ეკონომიურად გაძლიერებას.

როგორც წარსულში გლეხ-კაცობამ ვერ შეითვისა და ვერ ჩაინერგა გულში ეროვნული გრძნობა და საერო სამშობლოს სიყვარული, ისე დღეს სამშობლოსადმი სიყვარულით არ უღვივის გული და ამ დიდებულის გრძნობით არ არის გამხნევებული და აღფრთოვანებული.

სწორედ დიდი უბედურობაც ეს არის. ეს არის დასაწყისი ჩვენის ეკონომიურის დაქვეითებისა, უკან ჩამორჩენისა, ურთი-ერთ შორის განხეთქილებისა და ყოველ-გვარ სისაძაგლისა, რომელმაც ჩვენში ასე მკვიდრად ფეხი მოიკიდა და რომელიც გვიქადის განადგურებას და გადაგვარებას.

აბა, დააკვირდით, რა გასაოცარს და ამასთანავე საუბედურო სურათს წარმოადგენს ჩვენის ქვეყნის აწმყო ვითარება. ამ უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში ყველას ფერი ეცვალა, ყველაფერი შეირყა და მოეწყო ახალ დროს და მიმართულების შესაფერად, ჩვენ-კი ჩვენსას არ ვიშლით.

ჩვენ დაგვერია ყველა ჯურის ხალხი: რუსი, პოლონელი, ნემეცი, ბერძენი, სომეხი, ოსი, თათარი, ლეკი, ჩაჩანი და სხვანი. ყველანი დასახლდნენ მეზობლად, ბინა მკვიდრად მოიკიდეს, დაგვიმოყვრდნენ კიდეც, ბევრნი მათგანნი გვეფიცებიან ძმობას, მეგობრობას, და ამ დროს-კი გურულები სცხოვრობენ მხოლოდ გურიაში, მეგრელები მხოლოდ სამეგრელოში, კახელები მხოლოდ კახეთში,

---

**) იხ, „ივერია“ №№ 26, 27, 37, 51, 52, 60, 65, 94, 96.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ასე დავაგვიანე ეს წერილი. სხვა-და-სხვა გარემოება ნებას არ მაძლევს ხშირად განუზიარო ხოლმე მკითხველს ჩემი აზრი სოფლელთა შესახებ და შევასრულო ის დაპირება, რომელიც, როგორც პროგრამმა ჩემის წერილებისა, გამოვაქვეყნე „ივერიის“ № 65-ში.

ავტ.

ლულიყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ნამყენის რაოდენობაზე და იმის ფასის დადგენაზე; 2) მომავალი წლისათვის საჩქოლეს გადიდება და მოწყობა, 3) მომავალი წლის ხარჯის აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და 4) წევრების მიღება.

რადგანაც გლახა ამინდების გამო საბჭომ ვერ მოასწრო ნამყენების ამოღება და გაგება, თუ რამდენმა გაიხარა, საზოგადოებამ ვერ დაადგინა, როგორ უნდა გაიყიდოს თითო ძირი ვენახის ნამყენი. თავმჯდომარის ფიქრით, გახარებული ნერგი იმდენი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იქმნეს თითო ძირი ხუთ კაპ. გაიყიდოს 12% წმინდა მოგებით. საბჭოს დადგენილებით მომავალი წლისათვის უნდა გაკეთდეს 100,000 ძირი ნამყენი და გაიხსნას ორი განყოფილება—ამერიკული ვაზის სანერგე—ს. სვირში და ს. დიმში.

საბჭოსაგან წარმოდგენილი ხარჯის აღრიცხვა, რაიცა გამოიხატება 2,000 მანეთით, საზოგადოებამ მიიღო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მებაღისათვის გადადვა 300 მ. ჯამაგირი, გარდა ამისა მებაღეს მიეცემა ბინა და 15% წმინდა მოგებიდგან. და ბოლოს ერთხმად იქმნა არჩეული საპატიო წევრად უფროსი აგრონომი ვ. ა. სტაროსელსკი.

ამ კრებაზე მღ. ს. მჭედლიძემ აღძრა კითხვა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსების თაობაზე. ამ 15 თუ 20 წლის წინეთ ჩვენში ამ ნაირი ამხანაგობა სუფევდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო განსვენებას მიეცა. ეხლა მის დაარსებას ნიადაგი უკეთესი აქვს და ყველაც თანაგრძნობით მიეგება და მხოლოდ დღეს საქმე ვერ გადაწყდა, რადგანაც ძლიერ დაგვიანებული იყო. თანდათან სვირი იღვიძებს...

თორნიკე.

—

**ერთაწმინდა.** როგორც ამას წინათ გატყობინებდით, ერთაწმინდის მიდამოებიდგან დაიკარგა ყვავარი კამეჩი, რომელიც სოფ. დოესში მცხოვრებ გლეხ-კაცებს ეკუთვნოდათ; ამ კამეჩების მომპარავნი, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ერთაწმინდელები ყოფილან,—აზნაური კარგარეთელი და ოსი ხუბულაშვილი; ამ ვაჟბატონებს ეს საქონელი დაერეკნათ ერთს მშვენიერს დღეს და ურემში შებმული ჩამოერეკნათ ტფილისში; რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ვერავინ შეიტანდა ეჭვს და არავინ მოსთხოვდა ურემში შებმულ საქონლის კუთვნილების ბარათს; ქალაქში, ეს კამეჩი მიჰყიდეს ქარელში მცხოვრებს მეტივეს, რომელმაც იმ დღესვე მატარებლით გაამგზავრა შინისკენ; როდესაც მატარებელი გაჩერდა გრაკალსა და გომს შუა მცირე სადგურზედ, გლეხკაცებმა—დოესელებმა მოისურვეს ვაგონების დათვალიერება; შემთხვევით სამუშაოდ გამოსული იყო მინდორში, აქვე სადგურს ახლო, ამ კამეჩების პატრონიც, გლეხ-კაცობამ რა ჰნახა ერთ ვაგონში კამეჩები, მაშინვე მოიხმეს საქონლის პატრონიც, კამეჩები ჩააბარეს დოესის სუდია-მამასახლისს და დაიწყო საქმის გამოძიება; მყიდველს, თურმე, არავითარი ნასყიდობის ბარათი არ ჩამოურთმევია, ხოლო გამომძიებლისთვის უთქვამს, რომ თუნდა ათასკაცში ჩააყენო ის კაცები ვისგანაც ვიყიდე ეს საქონელი, მაშინვე ვიცნობო. როდესაც გამომძიებელმა ოცამდინ კაცი ერთად წარუდგინა და მათ შორის საქონლის მომპარავნიც, საქონლის მყიდველს მაშინვე ეცნო ქურდები. კარგარეთელი და ხუბულაშვილი დააპატიმრეს.

—

**სტეფანწმინდა.** ჩვენი მთა სახნავ-სათიბით და საძოვრით ძრიელ ღარიბია, რის გამოც ზამთრობით გუდამაყრელები და მოხევეები, ცხვარს და ცხენს თერგის ოლქში მიერეკებიან და იქ იზამთრებენ. თითქმის ორი-სამი კვირა უნდებიან გზაში სიარულს; ბოლოს ბევრ და აუტანელ ტანჯვა წვალებით ძლივს მიაღწევენ დანიშნულ ადგილამდინ. იფიქრეთ მკითხველო, რა წვალებით უნდა გაატაროს ეს შვიდი თვე თავის სახლში დაბრუნებამდისა? გზაში არ ასვენებენ საცოდავ მემცხვარეებს: აქ დაუხვდება რამდენიმე სტანციელი ყაზახი და უბრძანებს: ამაზე ნუ მოგიდითო, ასტეხენ ერთს ალიაქოთს. იქ დაეცემიან მაწანწალა შეიარაღებული ქისტები და ძალით იტაცებენ ცხენსა და ცხვარსა. ხშირად კაციც-კი მოკვდება ხოლმე.

12 ნოემბერს მემცხვარე მოხევეების ბინას დაეცნენ რვა შეიარაღებული ცხენოსანი ქისტები და მოიტაცეს 14 ცხენი. დაედევნენ უკან მწყემსები, მაგრამ რა გამოვიდა! მწყემსების მხრით სამი კაცი მოკლულ იქმნა და სამთავეს გვამი 18 ნოემბერს მოასვენეს სტეფანწმინდაში.

ყოველ ამისთანა უბედურების მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ გუდამაყრელებს და მშვიდობიანობის მოყვარე ხალხს იარაღის ტარების უფლება არა აქვს. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ვისიც ჯერ არს და ნება დაერთოს მათ იარაღი (თოფი) ატარონ, რითაც ისინი დაიცავენ თავიანთ სიკეთეს მოხდომილ მტრების ქისტებისაგან.

იაგორ ლუდუშაური.

—

**რიონ-ვალმის მხარე.** ძლიერ ცუდი ამინდებია. შუა სეკდემბერს აქეთ დღე-გამოშვებით მუდამ წვიმს: მახლობელი მთა-გორაკები ჩამოთოვა; თან ისეთი სიცივე მოჰყვა, რომ აქ არ გაგონილა. სოფლებში გავრცელებულია სურდო-ხველა.

—

წელს ცუდი შემოდგომა გვქონდა: სიმინდი სველი ჩაიყარა სასიმინდეში და ვეჭვობთ, არ დაობდეს და დალპეს. სიმინდის და ღვინის მოსავალი, საზოგადოდ კარგი იყო, ღვინის-კი ყველგან ნაკლები. ახალი სიმინდი დღეს ბათმანი (21 გირვანქა) 30—35 კაპიკად იყიდება, შარშან სამ აბაზამდე ავიდა; ღვინო ბაღდადიდგან და ზემო იმერეთიდგან ჩამოაქვთ ჩალვადრებს და ჰყიდიან კარგს ღვინოს ჩაფს 3 მანეთად (ჩაფი 16 ბოთლია).

—

პირველ ნოემბრიდგან დადგა აქეთ ბამბის «სეზონი“. გაჩნდნენ თან ჩარჩებიც; მეფურნე-მიკიტან-ხარაზებმაც იწყეს ყიდვა. სოფელ-სოფელ დაძვრებიან ვაჭრები; მაგრამ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების ამხანაგობამ „კოლხიდამ“ ბევრს მათგანს წაუხდინა მაზანდა; მან გამოგზავნა აქეთაც თავისი კომისიონერები შემოწმებული სასწორებით ს. ამაღლებაში, ვანში და ტობანიერში, სადაც იწყეს ბამბის კანონიერად წონა და ყიდვა. აძლევენ ფუთს გაურჩეველ ბამბაში ჯერ 2 მან. 40 კაპ.—2 მან. 70 კაპიკამდე.

ხალხმა საუბედუროდ ჯერჯერობით ვერ შეიგნო, რომ მათთვის სასარგებლოა კოლხიდის სასწორზე წონა, და ბევრი ისევ წვრილ ვაჭრებს აძლევს ბამბას. მთავრობამ თუმცა ადრიანად მოსწერა ყველა მამასახლისებს, რომ აელაგმათ ჩარჩების მოქმედება, მაგრამ ბევრ მათგანს თითონაც რომ არ ესმის ამხანაგობის მიზანი, ხალხს რადას ჩააგონებს; ამის გამო არც შეუწუხებიათ თავი: „მაგის დარდი არ მაქვსო, ვისაც უნდა, იმან იყიდოსო“.

—

წვიმა-წყალდიდობის გამო გზები ძლიერ შეგველანძღა, რის გამო ჩვენმა დილიჟანსებმა იწყო ისევ ძველებურად მიმოსვლა; მაგრამ ამას როდი უფურებენ მეეტლეები: ისინი მაინც რვა და ათის მაგიერ ხშირად 14 და 15 იჯენენ ეტლში, ზოგს კოფოზედ და ზოგს მაღლა სახურავზედ. საჭიროა, ამხანაგობამ ამას მიაქციოს ყურადღება და, რაც არ მოთავსდება დილიჟანსში, მეტს ნუ მისცემენ ნებას. ამისათვის უნდა შემოიღონ ბილეთები მოგზაურთათვის, როგორიც არსებობს ქუთაისიდგან ბაღდადის გზაზედ; მაშინ მოგზაური ადრიანად იყიდის ბილეთს და, ვისაც ბილეთი არ ექნება, მეეტლეც ვერ ჩაიჯენს, თორემ ახლა მეეტლეებმაც რა ქნან! ხშირად ისეთი ხანჯლის კაცი შეხვდებათ, რომ არ მოათავსოს, ვაი იმის დღეს. ამას გარდა, დილიჟანსთა ამხანაგობამ უნდა მიხედოს შემდეგ გარემოებასაც: გზებში მეეტლეები, როდესაც ისვენებენ, აჩერებენ ეტლს ყოველთვის სამიკიტნოს წინ. სადაც მთვრალობა, უწმაწური სიტყვებით სიმღერა და სხვა ამგვარი უწესოებაც; ეტლში ხშირად ზის ვინმე მანდილოსანი რომელიც არიდებს თვალს და ყურს ამ გარემოებას, მაგრამ, რა გამოდის აქედგან! მეეტლე-კი სამიკიტნოშია შემძვრალი, ეგებ ორიოდე ჭიქა ღვინო ირგოს და თან კრიმანჭულში ეხმარება მოქეიფეებს. მოგზაური-კი ეძახის მეეტლეს და უჩქარის წასვლას, მაგრამ ის მაინც, სანამ თავისას არ აასრულებს, როდი იწუხებს თავს.

—

სოფ. ტობანიერში მცხოვრებს ღარიბს გლეხს უდრეილიძეს ოკდომბერში დაეწვა მთლად ერთი სასიმინდე სიმინდი: საბრალომ დიდის ვაი-ვაგლახით მოიწია სიმინდი, გაარჩია და ჩაყარა სასიმინდეში იქვე ჭალაზედ. სასიმინდეს ქვეშ ჩალით გაკეთებულ ქოხში თვითონ იდგა დროებით; რადგან სიცივე იყო, ცეცხლი ენთო; საუბედუროდ ერთს ქარიან ღამეს გაუჩნდა ჩალებს ცეცხლი და სასიმინდეც გადიბუგა. დაეწვა საწყალს მთელი წლის სარჩო სიმინდი და დარჩა ღვთის ანაბრად.

28 ოკდომბერს, საღამოს მეექვსე საათზედ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ცეცხლი გაუჩინა ტობანიერის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლის შენობას. მასწავლებლებს სადღაც გაევლოთ, სასწავლებელში-კი დაეტოვებინათ ორი მსახური თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა. ბოროტ-გამზრახველი ჩამოსულიყო ბაღჩაში, მოეტანა თან პატარა ჭრაქით ნავთი, მიესხა აღმოსავლეთის მხრით კედელზედ და გაეჩინა ცეცხლი; აღი მოსდებოდა კედელს და თვითონ მაშინვე გაქცეულიყო, ჭრაქი-კი მიეგდო იქვე. მსახურთ მაშინვე გაეგოთ, თან მოშველებოდათ ქუჩიდგან მუშა ხალხი და ჩაექროთ ცეცხლი. გამოძიება სწარმოებს. ამ გარემოებამ ხალხში ბევრნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს სასწავლებელი არსებობს აგერ 24 წელიწადია; რაც ორ კლასიანად გადაკეთდა 1897 წლიდგან, კარგი სარგებლობა მოაქვს, ხალხიც ძლიერ მადლიერია, ორასამდე მოსწავლე სწავლობს და რას უნდა მიეწეროს ეს ბოროტება, არ ვიცით. ყველა ძლიერ გაკვირვებულია ამის გამო.

ვლადო ბზვანელი.

—

**ქუხი**, 17 ნოემბერი. დღეს აქაურმა კუხ-გუბის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ თავისს საგანგებო საზოგადო კრებაზედ ერთხმად დაადგინა, გახსნას ნაცვლად ერთის კუხ-გუბის ამხანაგობისა ორი—კუხისა ცალკე და გუბისა ცალკე. ეს აზრი მოხსენდა საზოგადო კრებას ჯერ კიდევ ერთის წლის წინად, მაგრამ მაშინ კრებამ მოიმიზეზა, რომ ამ ამხანაგობის ფული ემართა (25,000 მანეთამდის) აქაურ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას. „სანამ ეს ფული არ იქნება შემოტანილი მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგანო“, ითქვა მაშინ,—„მანამდის ნუ გაიყოფა ამხანაგობაო“. მეაბრეშუმეთა ამხანაგობას ეს ფული დღეს თითქმის გადახდილი აქვს. ს. კუხი 350 მოსახლეთაგან შესდგება. სოფ. გუბი—250 მოსახლეზე მეტს შეიცავს. თითოეულს ამ სოფელთაგანს აქვს სასოფლო სკოლები—ორი სამი სკოლის მასწავლებლებით და ნასწავლი მღვდლებით. ამათ ადვილად შეეძლებათ ამხანაგობათა ხელმძღვანელობა, თუ-კი მოინდომებენ, მიუხედავად იმისა, რომ აქაურს ხალხს შესწავლილი აქვს პრაქტიკით ამხანაგობის საქმეები, რადგან თვრამეტი წელიწადია, რაც ეს ამხანაგობა არსებობს და ხალხის საჭიროებას უძღვება. ყველაზე მნიშვნელობიანი საქმე, რაც კუხ-გუბის გამს.-შემნ. ამხანაგობამ მოაგვარა იყო დაარსება „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა“, რომელსაც ორი ათასზე მეტი წევრი ჰყავს 25,000 მანეთის წლის ფულით. ამ ამხანაგობას დღიდგან დაარსებისა დღემდის კუხ-გუბის გამს.-შემნ. ამხანაგობისაგან დიდი შემწეობა ჰქონდა და აქვს.

შვიდი წელიწადი მიმდინარეობს, რაც ამ ორ ამხანაგობას—გამსესხებელ-შემნახველს და სამეურნეოს—ერთიერთ შორის ფაქტიურათ კავშირი აქვს შეკრული. ამ შეკავშირების მეოხებით გამსესხებელ-შემნახველმა ამხანაგობამ 33,000 მანეთზე მეტს მობარებულ ფულს მოუყარა თავი. მობარებულ ფულში ამხანაგობა აძლევდა 7—8 პროცენტს და 10 პროცენტათ ასესხებდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობას. ამ ნაირათ ამ ხნის განმავლობაში არც გამსეს. შემ. ამხანაგობას ქონია უფულობა და მეაბრეშუმეთა ამხანაგობაც ფეხზე დააყენა.

დღეს იგივე კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა თაობს „ამხანაგობათა კავშირის“ შედგენას მთავრობისაგან დამტკიცებულის წესდებით, რომ ის, რაც პრაქტიკულად გამოსცადა, იურიდიულადაც დააკანონოს. ამისთვის ჯერ ამ წლის დამდეგსავე ამხანაგობათა საზოგადო კრებებმა კუხ-გუბისა, დიდ-ჯიხაიშისა, დანარ-ქუტირისამ, ფარცხანაყანევისამ და მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისამ—აირჩიეს თავიანთი წარმომადგენლები კავშირის წესდების შესამუშავებლათ და დასამტკიცებლათ გასაგზავნათ. ამ ამხანაგობათა წარმომადგენლებს 21 ამ თვეს სოფ. დიდ-ჯიხაიშში ექნებათ კრება მინდობილ საქმის განსახორციელებლათ.

„კავშირი“ სხვათა-შორის ეცდება, შეერთებულის ძალით მოაწყოს ყიდვა-გაყიდვა მეურნეობის ყველა დარგის ნაწარმოებისა, მოკავშირე ამხანაგობათა წევრებისთვის საჭირო ყოველ-გვარ სამეურნეო იარაღებისა, მანქანებისა, საქონლისა და წვრილმან საჭირო ნივთებისა, რისთვისაც გამართავს, საჭიროების-და-გვარათ, კანტორებს, სააგენტოებს, საწყობებს და მაღაზიებს, როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთაც, და გახსნის ქარხნებს მეურნეობის ნაწარმოების დასამუშავებლათ.

სოფლელი.

# რუსეთი

ფინანსთა მინისტრის ვიტეს თავმჯდომარეობით განახლდა ისევ კრებები სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამორკვევის შესახებ,

— 1896 წელს მოტანტალეთა შესახებ გამოცემული წესები გაუქმებულ იქმნა, მათი საქმე მომრიგებელ სასამართლოს გარდაეცემა.

— 17 ნოემბერს მოხდა არა ჩვეულებრივი ლიტერატორთა კასის წევრთა კრება, რომელიც ლიტერატურულს ფონდთან არის დაარსებული.

— 6 დეკემბრიდგან ძალაში შევა ახალი ტარიფი იმ პასაჟირთათვის, რომლებიც მოისურვებენ პეტერბურგიდგან, ვარშავიდგან და ლოდზიდგან იტალიის და საფრანგეთის სამზღვამდე წასვლას, რომლებმაც უნდა გაიარონ ვარშავში, ვენაში და სხვა პუნქტებში. ბილეთი პეტერბურგიდგან ვენეციამდე ღირება—121 მ. მონტო-კარლომდე—157 მ. მილანამდე—136 მ.

— აზრადა აქვთ, სასულიერო წოდების და საერო განათლების სამინისტროს ფუნქციები ხალხის განათლების საქმეში შეაერთონ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც დეპეშით იუწყებოდნენ, საფრანგეთის ზღვათა მინისტრმა პელტანმა უკვე გადასცა საბიუჯეტო კამისიას ის რაპორტი, რომელიც გასულ 1901 წ. თებერვალში ჩინეთის საოკუპაციო კორპუსის მთავარ-სარდლის გენერალ ვუირონისაგან მიიღო საფრანგეთის მინისტრმა ლანესანმაო.

საბიუჯეტო კამისიამ მოსთხოვა ზღვათა მინისტრს, გადმოგვეცით ეგ რაპორტი, სანამ შუამდგომლობას აღვძრავდეთ იმ სესხის შესახებ, რომელიც საფრანგეთის ჩინეთში მყოფ სარწმუნოებრივ მისიებისათვის უნდა იქმნეს შეტანილი გარეშე საქმეთა ბიუჯეტშიო.

საფიქრებელია, რომ გენერალ ვუარონის რაპორტი, რომელსაც მცირეოდენი მნიშვნელობა არა აქვს ჩინეთში მყოფ მისიონერთა მოქმედების დასაფასებლად, ოფიციალურად არ იქნეს გამოქვეყნებული და მხოლოდ საბიუჯეტო კამისიის წევრთა გაიცნიან დაწვრილებით მისი შინაარსი. გარდა ამისა, თუ ვერწმუნეთ „Konigsb. H. Ztg“-ის დეპეშას, ზღვათა მინისტრ პელტანს მთლად-კი არ გადაუცია საბიუჯეტო კამისიისათვის ვუარონის რაპორტი, არამედ ერთი ნაწილი, და განუცხადებია, „მეორე ნაწილი საიდუმლოაო“.

უნდა გავახსენოთ მკითხველებს, რომ 1901 წ. ნოემბერში მაშინდელი მინისტრ-პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო მტკიცე უარს ადგა, ყოვლად შეუძლებელია გენერალ ვუარონის რაპორტი საბიუჯეტო კამისიას გადაეცესო. მაშინ პალატის უმრავლესობა ვალდეკ-რუსსოს მხარეს იყო და დეპუტატების სამბას, ვივიენისა და პელტანის წინადადება რაპორტი კამისიას გარდაეცესო—უარ ჰყვეს, როგორც გაზ. „Libre Parol“-ს ახსოვს, ვალდეკ-რუსსოს ტრიბუნიდგან უთქვამს „ჩვენ არაოდეს

---

ქართლელები—ქართლში, თუშები—სათუშოში, ფშაველები—საფშავოში, ხევსურები—ხევსურეთში, სვანები—სვანეთში, იმერლები მხოლოდ იმერეთში და სხვანი და სხვანი სულ ამ გვარად.

აბა ჰკითხეთ რომელსამე რუსს, ანუ სომეხს, თათარს, ნემეცს, ვინ არის! არც ერთი არ გიპასუხებთ, მოსკოველი ან ნოვგოროდელი ვარო, ანუ ნახჩევნელი და ერევნელი ვარო. ყველა თავის გვარ-ტომობას აღიარებს და გიპასუხებთ: რუსი ვარო, სომეხი, თათარი, ნემეცი ვარო და სხვა.

ჩვენში-კი დაეკითხეთ გლეხ-კაცს, ვინა ხარ-თქო, მაშინვე გიპასუხებთ გურული ვარო, ხევსური ვარო, კახელი, თუში ვარ და სხვა.

— კაცო, როგორ თუ გურული, ხევსური, თუში? ქართველი ხარ.

— არა, ბატონო, ქართველი რად ვიქნები, თუში ვარ, გურული ვარ,—გიპასუხებთ ჩვენი გლეხ-კაცი.

ჩვენ გაჭირვებულ გლეხ კაცთა შესახებ აი რასა ბრძანებს პროფესორი ბატონი ეგიაზარიანი: *) „რა ატანს ძალას იმერეთის შორაპნის, თუ სხვა მაზრების მცხოვრებს, ტფილისში „ლაქიობა“ ეწიოს, სადგურებზე ერევნის გუბერნიამდე, ჩრდილოეთ კავკასიის მადნეულის წყლების არეზე „მებუფეტის“ ხელობას დაადგეს? რა ატანს ქუთაისის მცხოვრებთ ნოვოროსიისკს, იალტის, თუნდ სხვა ნავთ-სადგურებში კავკასიის შალეულობა და ფიფქები ერთი ათად უფრო ძვირად ჰყიდონ გულ-უბრყვილო რუსეთელზე“?

ბ-ნი პროფესორი არსად არ მოგვითხრობს იმ მაგალითს, რომ გაჭირვებული ქართველი სხვაგან სადმე ბინას იკიდებდეს ისე, როგორც ნემეცი, რუსი, სომეხი და სხვანი, რადგან ჩვენში ყოველი „ლაქია“, „მებუფეტე“ და სხვა ხელობის კაცი მაინცა და მაინც თავის სოფელს უბრუნდება და თავის გამოგონილ სამშობლოს თავს ვერ ანებებს.

როგორც კლდეზედ მიჯაჭვული ამირანი მუდმივ ტანჯულია, ისე ჩვენი ხალხი, შებოჭილი სოფლის უზომო სიყვარულით, დიდს ტანჯვა-ვაებაში იყო წარსულში, დღესაც ამ ტანჯვას ვერ ასცილებია და მომავალიც ესეთივე უნუგეშო ექმნება იმ დრომდე, ვიდრე არ შეიგნებს, რა არის ნამდვილი სამშობლო, რომელიც „როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“ და რომელსაც ყველამ უნდა ანაცვალოს თავისი გამოგონილი სამშობლო-სოფელი და ხევ-კუთხე.

ჩვენის ხალხის ამისთანა მავნე რწმენამ და მისწრაფებამ არა მარტო საუბედურო ეკონომიური ვითარება შექმნა ჩვენში, არამედ სხვადა-სხვა სავალალო გარემოებაც ზედ დაართო და მთელ ჩვენ წარსულს და აწმყო ცხოვრებას საუბედურო ხასიათი დასდო: რაკი ხალხი არ იყო გატაცებული საერთო გრძნობით, ვერც საერო ხასიათი მიეცა ჩვენს წარსულ ცხოვრებას: ყოველ ხევს თავისი საკუთარი ისტორია ჰქონდა. ხალხმა ვერ შექმნა საერთო საერო ენა, და ყველა კუთხე თავისებური კილოთი ლაპარაკობდა, რასაც დღესაც ვხედავთ. ერთის სიტყვით, ყოველი მხარე, ხევი ცალკე სამეფო იყო და ყველა თავის სოფელს ეტრფოდა, როგორც სამშობლოს.

ეს იყო საძირკველი, რომელზედაც ჩვენმა წარსულმა ისტორიამ აღაშენა ჩვენი დაუსრულებელი უბედურობა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და ყოველს ეჭვს გარეშე, რომ ხალხი, რომელიც ესე გაცალკევებული იყო გრძნობით, მისწრაფებით, ცხოვრებით, ვერ შესძლებდა თავის თავის დაცვას და ათას წლობით ვერ გაუძლებდა იმ აუარებელ მტერს, რომელიც საქართველოს გარს ეხვია და ლამობდა მის ჩანთქვას.

ვინ იყო, ან რა ძალა იყო ის ძალა, რომლითაც საქართველოს განცალკევებულნი ჯგუფნი შეერთდებოდნენ ხოლმე და მედგრად ებრძოდნენ საქართველოს გარეშე მტერს? მაშ, ვინ დაიცვა საქართველოს ტერიტორია, ენა, სარწმუნოება? ვინ შექმნა საქართველოს თავისებური კულტურა, ლიტერატურა?

ამის პასუხს ყველა შესძლებს, თუ-კი განგებ არ დაიბრმავებს თვალებს, არ დაიყრუებს ყურებს და სიმართლეს არ უღალატებს...

ეს ძალთა-ძალა იყო თავად-აზნაურობა. საქართველოში თავად-აზნაურობა რომ არა ყოფილიყო, დღემდე არც არავითარი ეროვნული კულტურა, ლიტერატურა, ხასიათი არ იქნებოდა და მთელი ჩვენი ხალხი წარმოადგენდა მარტო ჯგუფს, რომელსაც ერად არავინ ჩასთვლიდა. როგორც ვერავინ ასახელებს ერად დაღესტნელებს, ინგუშებს ანუ ქისტებს, ზაქათლის ლეკებს, ოსებს და სხვა-და-სხვა ამისთანა ჯგუფთა წარმომადგენლებს.

ჩვენში მარტო თავად-აზნაურობას და მის ღვიძლ-ძმას სასულიერო წოდებას ჰქონდა შეგნებული, რა იყო საერო სამშობლო, საერო ლიტერატურა; მთელ თავის ძალ-ღონეს ამის დაცვას ანდომებდა და ებრძოდა გარეშე მტერს და შინ ხალხის მისწრაფებას, რომელიც უარჰყოფდა საერო სამშობლოს და რომელიც ამ უკანასკნელს და საერო ენას ანაცვალებდა თავის კუთხე-მხარეს და თავის ენის კილოს.

მთელი ჩვენი ისტორია იყო ბრძოლა ამ ორის ძალისა, ამ ორის კულტურისა, ერთი მეორის მოსისხლე და შეურიგებელის მტერისა.

თავად-აზნაურობის და სამღვდელოების უმრავლესობა იყო გამსჭვალული მამულის შვილურის, პატრიოტულის გრძნობით; მას სწამდა მხოლოდ ერთად ერთი ქართული კულტურა, სარწმუნოება, ენა, უარყოფდა ადგილობრივ ენას, ანუ კილოს და მხოლოდ საერო ლიტერატურას ეტრფოდა, შეჰხაროდა და ემსახურებოდა.

სამეგრელოს თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, ანუ გურიისა, იმერეთისა, ქართლისა, კახეთისა, სვანეთისა სულ მთლად და სავსებით ქართველნი იყვნენ და მათი ენა, მისწრაფება, კულტურა არაფრით განსხვავდებოდა და საერო იყო, მაშინ როდესაც მათ გარშემო ხალხს სულ სხვა მიმართულება ჰქონდა. მეგრელი თავადი, აზნაური ქართველი იყო მაშინ, როდესაც გლეხ-კაცი მეგრელობას და თავის ენის კილოს თავს არ ანებებდა.

ვერავინ ვერ უარჰყოფს იმ ჭეშმარიტს აზრს, რომ ერთად-ერთი ძალა საქართველოში, რომელმაც დიდის ბრძოლით, ჯაფით და მხნეობით შექმნა საერო კილტურა, ლიტერატურა, ისტორია, იყო თავად-აზნაურობა.

დღესაც ამასვე ვხედავთ, დღესაც არ შეწყვეტილა ის საზარელი ბრძოლა, რომელმაც ჩვენ თვით არსებობას ბოლო მოუღო და რომელიც ეხლაც, როდესაც თავად-აზნაურობამ დაკარგა თავისი ძალა და მნიშვნელობა, გვიქადის ჩვენის გვარტომობის გადაგვარებას.

დღესაც თავად-აზნაურობის უმრავლესობა და საუკეთესო წარმომადგენელნი იმავე პატრიოტულის გრძნობით არის გამსჭვალული და ამიტომ, თუ ხალხმა თანაუგრძნო, დიდ კულტურულს და ეკონომიურს ძალას წარმოადგენს.

ამ წოდების ათვალწუნება და ყოველთვის გმობა, ხალხის სასმენად, ვნების მეტს არას მოუტანს სამშობლოს.

(დასასრული იქნება)

მ. ტფილისელი.

---

*) თარგმანი დაბეჭდილია „ივერიაში“ № 234.

არ გამოაქვეყნებთ ამ რაპორტსაო“ და მიზეზად დაუსახელებია,—ჩინეთში ჩვენ მარტონი როდი ვყოფილვართო“.

გაზ. „Matin“-მა შორშინვე საიდგანღაც გაიგო ერთი ნაწილი ამ რაპორტისა და დაჰბეჭდა კიდეც.

აი, მისი შინაარსი:

„რაიცა შეეხება ცარცვა-გლეჯას, ფრანგნი ჯარის-კაცნი ბევრად უფრო მოკრძალებითა, და თავ შეკავებით იყვნენ ჩინეთში, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენელნიო. თუ კი იყო რამდენიმე შემთხვევა ძალადობისა და ტაცობისა ჩვენს ჯარში, დამნაშავენი ყოველთვის სასტიკად ისჯებოდნენ, მიუხედავად იმისა, უბრალო ჯარის კაცი იყო იგი, თუ ოფიცერი. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოროტ მოქმედებას ყოველთვის კერძო ხასიათი ჰქონდა და არა საზოგადო, ერთბაში.

მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ჯარის კაცები, წინდაწინვე განზრახვით, ერთმანერთში მოლაპარაკების შემდეგ, თავს დასხმოდნენ და გაეძარცვათ მკვიდრნი, მაგრამ ეს მოხდა **გავლენითა და ჩაგონებით მისიონერთა, რომელთა სასარგებლოდაც მოქმედობდნენ ჯარის-კაცნი.**

მისიონერებმა, რასაკვირველია, ზედმიწევნით იცოდნენ, თუ სად რა ინახებოდა, და 17-ს დილა ადრიანად მიადგნენ ჩინეთის პრინცის—ლის—სასახლეს 40 ურმითა და 200—300 ადგილობრივ ქრისტეანთა თანხლებით. შევიდნენ სასახლეში, და გულდასმით გასჩხრიკეს და დიდ-ძალი ვერცხლის ზოდი წამოიღეს.

მათ მიეშველებიათ პეიტანგში მდგომი ჯარის კაცნი და ზღვაოსანნი, რომელთათვისაც სამაგიეროდ თამასუქები მიეცად, თითქმის 2,000 ფრანკისა; ამ თამასუქების განაღდება უნდა მომხდარიყო სენ-ვენსან დე-პოლის მონასტერში, საფრანგეთში.

მიაღწია, თუ არა, ამ ამბავმა სხვა ჯარის კაცთა ყურამდე—რომელნიც პეიტანგში არ იდგნენ. მიანებეს თავი სადარაჯოებსა და გასწიეს ვერცხლის ზოდების საძებნად (რასაკვირველია, საკუთრად თავისთვის).

რადგან ზოდებს ჯარის-კაცები ვერაფრად გამოიყენებდნენ, მიჰქონდათ და მცირე ვაჭრობის შემდეგ, თითქმის მუქთად აძლევდნენ ვიღაც შენოსა—პეკინში ყავახანის პატრონია—კიდევ საფრანგეთის სასულიერო მისსიის მამა-პროკურატორს.

რასაკვირველია, მყიდველნი სცდილობდნენ, ჩალის ფასად ჩაეგდოთ ხელში ზოდები და სხვა ძვირფასი ნივთები. გენერალი ფრეი (ფრანგია) განსაკუთრებულ (?!) მდგომარეობაში იყო. მას არ მოუხდენია განკარგულება ზემოხსენებულ თამასუქების აღმოჩენისა და ჩამორთმევისა; ეს ისე მოხდა, რომ ფრეის არცკი გაუგია.

რომ თამასუქები, რომლებსაც ბ-ნი შემო, ან კიდევ მამა-პროკურატორი აძლევდა ჯარის-კაცებს, არ ჩამოვვერთმია ეს ხომ წაქეზება იქნებოდა და ჯარის-კაცნიც ცარცვა-რბევისათვის ჯილდოდ მიიჩნევდნენ ამას.

შემდეგ ამისა გაზეთი თავის სიტყვით მოგვითხრობს რაპორტის შინაარს:

დანარჩენი განმარტება გენერალ ვუარონის მიერ ჯარის-კაცთაკან ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისა ვერ არის ნათლად ახსნილი, გამორკვეული. მაგრამ მაინც შეიძლება იმ დასკნას დავადგეთ, რომ მისიონერების მიერ დარიგებულ თამასუქთა ერთი ნაწილი ჯარის-კაცთა საერთო თანხას მიემატა და დანარჩენი ისევ მისიონერებს დაურიგდაო. მხოლოდ ზღვაოსნებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს, აღარ იძლეოდნენ მისიონერებისაგან მიღებულ თამასუქებსა და ბოლოს მაინც შეირჩინესო.

დასასრულ გაზეთს მოჰყავს გენ. ვუარონის სიტყვები:

ერთი თამასუქი აღმოჩნდა 5,000 ფრანკისა, თვით გენერალ ფრეის დაწერილი იმ თამასუქების ნაცვლად, რომელიც ჯარის-კაცებს შეეტანათ მონსინიორ ფავიეს (პეკინში მყოფი ფრანგთა ეპისკოპოსია) სახელზე. ეს თამასუქები სულ 5,000 ფრანკისა, თურმე სასულიერო მისსიას დაერიგებინა ჯარის-კაცთათვის როგორც ჯილდო იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს ვერცხლის ზოდებისა და ძვირფას ნივთების გადაზიდვის დროს.

სწორედ უნდა მოგახსენოთ, ვერ გამიგია, რათ შეუტანიათ ეს თამასუქი მონსინიორ ფავიეს სახელზე.

გენერალ ვუარონი.

## სხვა-და-სხვა წერილები

### სამწუხარო ფაქტი.

(ხმა შორიდგან)

„ბავშვების გამოცდას დავესწარი ერთს სკოლაში. სხვათა-შორის ერთს უფროსს მოსწავლეს (ნორმალური სკოლა) რაფაელის უკვდავი „სამშობლო ხევსურისა“ წააკითხეს, და როცა კითხეს შენი „სამშობლო“ სად არისო, მოსწავლემ თამამად თავისი სოფელი დაასახელა. მასწავლებელიც მეტად კმაყოფილი დარჩა ასეთის პასუხითაო“, სწერს სხვათა-შორის ბ-ნი XX „ცნობ. ფურც.“-ის № 1982-ში თავისს წერილში „კიდევ პედაგოგია“ და დასძენს: „ამიტომაც არის, რომ სიხარულით არ ვეგებებით ახალ სკოლების გახსნის ამბავს, ამიტომ არის, რომ ვერ გამიგია სხვების აღტაცება და სიხარული ასეთ „სანუგეშო“ ფაქტების გამოო“-ო.

მართლაც რომ ვერაფერი „სანუგეშო“ ფაქტია, რომ დღესაც, ასის წლის შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლების დაკარგვით მოიპოვა გაერთიანება, არ გვქონდეს შეგნებული, რომ ყოველ ქართველის სამშობლო მთელი საქართველოა და ყველა საქართველოს სამზღვრებში მცხოვრები ეროვნებით ქართველია და არა ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი, იმერელი და სხვანი. სამწუხაროდ, ბევრს ვითომ განათლებულსაც არა აქვს შეგნებული ეს აზრი და თავის თავს, როცა ეროვნებას ჰკითხავენ, ქართველი ვარო-კი არ ამბობს, არამედ გურული, მეგრელიო და სხვა. ამას წინად, ტფილისში ყოფნის დროს, შემთხვევით შევედი ქ. შ. წ. კ. გ. ს.—ის სამკითხველოში, ოლგას ქუჩაზე, და სხვათა-შორის გადავათვალიერე მკითხველთა ჩასაწერი რვეული. „სახელი და გვარი მკითხველთა“. „ეროვნება“, „წოდება“, და „პროფესსია“. აი, რა იწერება ამ რვეულში და წარმოიდგინეთ, განყოფილებაში „ეროვნება“, ვინც კი გურული შესულა სამკითხველოში და თავისი სახელი და გვარი ჩაუწერია რვეულში „გურულად“ ჩაუწერია თავისი თავი და არა ქართველად! რაღა გასაკვირველია, ამას შემდეგ, რომ კალენდრებში და სსტატისტიკო ცნობებში „იმერლები“, „გურულები“, „მეგრელები“ და სხვა ცალკ-ცალკე ეროვნებად იყვნენ დასახელებულნი და არა საზოგადოდ „ქართველებად“, როცა ჩვენ თვითონ ჩვენის უცოდინარობით, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვაძლევთ საბუთს ასე მოქცევისას?..

დუტუ მეგრელი.

## ბიბლიოგრაფია

С. Сливицкій. Древній храмъ въ Манглисѣ. 1902 годъ.

მანგლელი, ბოლნელი, ახტალელი,—ესენი მაკურთხევლობდნენ სომხით-საბარათიანოში ანუ დებედისა და ხრამის ხეობაში. დღეს ყველა ეს ადგილები გაოხრებულა, აქაური ნანგრევები ობლად გამოიყურებიან და თვისს გარეშემო ქართველთა ნატამალს ვეღარ ხედვენ და თუ ხედვენ, ისიც აქაიქ, ისიც გადაგვარების გზას დამდგართ. კიდევ ცოტაა ეს. მათ არ ასვენებენ, თურმე, აწინდელნი, მათ გარშემო დასახლებულნი, მცხოვრებნი. მათ კედლებს აძრობენ თლილ ქვებს და მიაქვთ თავიანთ შენობების გასამშვენებლად. არე-მარე იყიდება ჩალის ფასად, ფულიანი კაცები და სოვდაგრები ეპატრონებიან ქართველ მამა-პაპათა ძეგლებს, დიდებულ ნაშთებს. რაში იხარჯება აღებული ფული, ვინ და როგორ სარგებლობს მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მიწაწყალში მიღებულ საფასით!.. სწორედ სატირალია და სამწუხაროც, რომ მამა-პაპის ნაამაგარი, შექნილი, მოვლილი და და ცუდი ქარქვეტისებრ ნიავდება...

მადლობის ღირსია ბ-ნი სლივიცკი, რომ თავის მკითხველს წინ უშლის იმ დროის სურათს, როდესაც აქაურობა მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველებისაკან და დღევანდელს უღფა-მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება სიტყვით: „გულშემზარავი ნაოხრობა“.

სლივიცკის წიგნს, რომელიც ღირს 30 კაპიკათ, ამშვენებს მანგლისის ტაძრის დიდებული სურათი.

მ. ჯ.

## წერილები

### რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ გაზეთ „ივერიის“ შემწეობით მადლობა მოვახსენო ქალაქ ყულევის „დეპუტატს“ ბ-ნ თეიმურაზ ფიფიას, რომელმაც ჩემდა რწმუნებულს სკოლას ამ დროებით შემოსწირა მაცხოვრის ხატი და საზეთე ლამპარი და შემდეგშიაც აღგვითქვა შემწეობა.

ქალაქ ყულევის ორ-კლასიან სამოქალაქო
სკოლის ზედამხედველი ვლ. გაგუა.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 ნოემბერი

**პარიჟი**. პალატამ 537 ხმის უმეტესობით 14 წინააღმდეგ მიიღო შაქარზე გარდასახადის დადება.

**ბრესლავლი**. იმპერატორმა სიტყვით მიმართა ბრესლავლის მუშათა დეპუტაციას, რომელშიაც გამოსთქვა კმაყოფილება, რომ მუშები მივიდნენ მასთან. მუშათა მდგომარეობა მუდამ მაინტერესებდა ჩემს საზრუნავს საგანს შეადგენსო. მრავალ წლის განმავლობაში მუშები სოციალისტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომლებიც სცდილობდნენ მათ მიმხრობას თავის პარტიისკენ, რადგანაც ეს არის ერთად-ერთი საშუალება მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლადო. მაგრამ ეს საშინელი შეცდომაა. აგიტატორები აქეზებდნენ კაპიტალისტთა, გვირგვინისა და საკურთხევლის წინაღმდეგ. ყველაფერს ამას ისინი ჩადიოდნენ თავის საკუთარი ძლიერების დაცვისათვის. ამგვარ პირებთან მუშებს არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდესო. დასასრულ იმპერატორმა წინადადება მისცა მუშებს ამოირჩიეთ წარმომადგენელი დაწესებულებაში გასაგზავნადაო.

21 ნოემბერი *)

**სტამბოლი**. ოფიციალურად გამოქვეყნებულია მართველობის ის გაუმჯობესებული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა შემოღებულ იქმნას ოსმალეთის ევროპის პროვინციებში. ჟანდარმერია შესდგება ქრისტიანთა და მაჰმადიანთაგან. ჟანდარმის აფიცრები და პოლიციის კომისარები ინიშნებიან ვალის განკარგულებით. პოლიციის კომისარებად და აგენტებად წერა-კითხვის მცოდნე ქრისტიანი და მაჰმადიანი უნდა იყვნენ. ვალი თვალყურს ადევნებს მეურნეობას, საზოგადო საქმეს და მრეწველობას, სადაც 50 კომლი სახლობს, იქ აარსებენ სახალხო სკოლას. სახალხო განათლებაზედ გაწერილი ფულის ორი მესამედი იხარჯება ვილაიეტში და ერთი მესამედი გადადებულია კონსტანტინოპოლის უმაღლეს ისწავლებელთა შესანახად, დირექტორებს და დრაგომანებს საგარეო საქმეთა შესახებ ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრი. მრსდება სამსაჯულოს ტრიბუნალები. მსაჯულებს ირჩევს იუსტიციის მინისტრი რამდენსაც ქრისტიანს, იმდენს მაჰმადიანს. ვალიებისა და უფროს ინსპექტორების მოხსენებით პორტასთან იხილავს კომისია, რომელიც შესდგება პრეზიდენტისა და სამი წევრისაგან. კომისია თავის აზრს შემდეგ მთავარ ვეზირს წარუდგენს.

**ბერლინი**. ზინგერს რეიხსტაგში სამჯელ მისცეს შენიშვნა წესიერება დაიცავიო; ის გამორიცხეს კრებისაგან, მაგრამ მას ზალა მაინც არ დაუტოვებია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ზენგერს არა აქვს უფლება კრებაზე ყოფნისაო.

**პეტერბურგის ბირჟა**, 19 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში | $45{,}92\frac{1}{2}$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37{,}64\frac{1}{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $5—6\frac{1}{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $97\frac{3}{4}$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $99\frac{1}{4}$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | $94\frac{1}{2}$ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 482 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 372 მყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $301\frac{1}{2}$ მყიდ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | $88\frac{1}{2}$ გაყ. |
| $4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| $4\frac{1}{2}\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | $99\frac{1}{2}$ მყიდ. |
| აქციები ,, „ „ „ | 495 |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. | 4650 წვრ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 420 წვრ. გაყიდ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 202 წვ. გაყ. |

## სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე ქილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.
15. ილია ახპაძისა და ვლადიმერ სოფრომაძის დავა.
16. ნესტორ მაღლაძისა და სიმონ ტყემალაშვილის საქმე.
17. ფედოტი ლაკტიონოვისა და კონსტანტინე ხიზანოვის საქმე.

---

*) ეს დეპეშამ დაიგვიანა.

## განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ამა ნოემბრის 29-ს ნაშუადღევის 1 საათზე მისის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა ახლად შეკეთებულ შიოევისეულ ქარვასლის იჯარით გასაცემათ, რომელიც ამ ჟამად ქალაქის საკუთრებას შეადგენს და რომელიც იმყოფება „შეითან ბაზარში“.

პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე კვირაუქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6—2)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

Духи

„Золотой Ирисъ“

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—32)

## ფოთის ქალაქის მმართველობა

ამით იუწყება, რომ 18 დეკემბერს 1902 წელს შუადღის 12 საათზე მისის თანა დასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემო დასახელებულ პირთა მამულებისა, რომელთაც სახელმწიფო და სახაზინო გარდასახადი არ შეუტანიათ.

1) ოდიშარიასი ეგნატე ქოჩოს ძისა: სახლი და მიწა, რომელიც იმყოფება ივანოვის ქუჩაზე XXIV უბანში № 248, ზომით 343,25 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 11 მ. 40 კაპ.

2) ჭიჭინაძისა მიხეილის—სადუქნე ადგილი, რომელიც იმყოფება ივანოვისა, ლევაშოვისა და საყდრის ქუჩებზე. ზომით 80 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 5 მ. 50 კაპ.

3) ჯორჯიკიასი ბეჟან გეგმაა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ბერძნების ქუჩაზე XXV უბანში № 288, ზომით 240 ოთხკუთ. საჟ. გარდასახადია 10 მ. 88 კ.

4) სმიტის ბრონისლავ ალექსანდრეს ასულისა: გეგმა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ციციანოვის და პალეოსტრომის კუთხეში CXV უბანში № 1033 გარდასახადია 19 მ. 67 კაპ.

5 ერისთავის ბარბარე (ახლა ვერა ერისთავისა) გეგმა აღებული ადგილი, რომელიც იმყოფება ლაზარევის ქუჩაზე XVI უბანში № 143, ზომით 400 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 6 მ. 52 კაპ.

6) ხუნცარიასი მარკოზისა, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება უკლოპორჩინის ქუჩაზე XXII უბანში, № 218, ზომით 536 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 3 მან.

7) ჯანჯღავასი ეფროსინე შევარდენის ასულისა: ხის სახლი, რომელიც იმყოფება ლიალინის ქუჩაზე XXII უბანში, № 232. გარდასახადია 62 მ. 32 კაპ.

8) კორტუშვილის იულონ, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება ციციანოვის ქუჩაზე XLVII უბანში № 475, ზომით 260 ოთხკუთხი საჟენი. გარდასასადია 2 მ. 53 კაპ,

9) დიმიტრი სმირნოვის მემკვიდრეთა ქვითკირის სახლი და მიწა არმიანსკი ქუჩაზე VII უბანში № 71, ზომით 800 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 16 მ. 37 კაპ.

10) შტოპელის ოლღა: ხის სახლი, რომელიც იმყოფება გაგარინისა და წყლისპირის ქუჩებზე XCVII უბანში № 922. გარდასახადია 3 მ. 68 კაპ.

11) ანდრეევის ალექსანდრე ფილიპეს-ძისა, გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც იმყოფება დიდ კუნძულზე ქალაქ ფოთს—ნახიმოვისა და ბერდიანსკის ქუჩების კუთხეში № 889, ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი, გარდასახადია 1 მ. 94 კა.

12) ჯაკობიასი პეტრესი, ითანასე კოიავასი და ბურდღუ ფარგალავას მემკვიდრეთა მიწა, რომელიც მდებარეობს გრეიგოვის ქუჩაზე № 199, ზომით 100 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 4 მან 58 კაპ.

13) ბარანოვსკის ქვრივის ადგილი, ცალიერი მიწა, რომელიც მდებარეობს პეტროვსკისა, წყლის პირისა და ნოვოროსიისკის ქუჩების კუთხეში № 997, ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი. გარდასახადია 1 მ. 84 კ,

14) კიკიანისა, სტეფანესი: ცარიელი მიწა, რომელიც მდებარეობს დიდ კუნძულზე გრეიგოვსკისა და როსტოვსკის ქუჩების კუთხეში. № 840, ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი. გარდასახადია 5 მ. 02 კაპ.

15) ხანდილის სტავროსი, ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობს მიხაილოვის ქუჩის კუთხესა და ოდესის წყლის პირის ქუჩაზე № 37, ზომით 200 ოთხკუთხ. საჟ. გარდასახადია 2 მ. 02 კ.

16) ნაკაშიძისა სოფიო ნიკოლოზის ასულისა სამი გეგმა აღებული ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობენ ხერსონის ქუჩაზედ, დიდ კუნძულზე, № № 75, 76 და 77 ზომით 740 ოთხკუთხი საჟენი. გარდასადია 5 მ. 97 კაპ.

17 იანოვსკისა გენრიეტა ანდრიას ასულისა: ცალიერი ადგილი, რომელიც მდებარეობს ადესის წყლის პირის ქუჩის დიდ კუნძულზე № 31 ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადია 2 მ. 98 კ.

18) შარაშიძისა მიხეილ ზურაბის ძისა გეგმა აღებული ადგილი, რომელიც მდებარეობს დიდი კუნძულის კორნილოვის ქუჩაზე № 544, ზომით 200 ოთხკუთხი საჟენი. გარდასახადი 1 მ. 61 კაპ.

(3—6—1)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова | „ | 30 |
| Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра | 3 | „ |
| Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова | „ | 60 |
| О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили | „ | 20 |
| Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина | 1 | |
| Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе | „ | 10 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.